განმარტებითი ბარათი

„საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია ,,საქართველოს დედაქალაქის _თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანა.

ა.ბ.) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია, თვითმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხებში ქ. თბილისი მთავრობის კომპეტენციის დაზუსტება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი კანონპროექტით „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 23^1 მუხლს, რომელიც განსაზღვრავს ქ. თბილისის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებს, ემატება „ე^2“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით ქ. თბილისის მთავრობა უფლებამოსილია განიხილოს ადგილობრივ საკუთრებაში არსებული მოძრავი ნივთის, აქციებისა და წილების სახელმწიფოსთვის, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის, ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა ორგანოებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის საკითხი, მიიღოს გადაწყვეტილება აქციებზე და წილებზე საკუთრების უფლების მიტოვების შესახებ.

ამავე კანონპროექტით, კანონის 38-ე მუხლის მე–2 პუნქტს დაემატა ე) ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით ქ. თბილისის მთავრობას მიეცა უფლება განიხილოს პრივატიზებული ან/და სარგებლობის უფლებით გადაცემული ქონების მიმღები პირის ფინანსური და საინვესტიციო ვალდებულებების შესრულებისგან გათავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხები.

ასევე, 38-ე მუხლს ემატება მე-4 პუნქტი, რომლის მიხედვით თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით ქ. თბილისის მთავრობას ან მის წარმომადგენელს უფლება ეძლევათ ნებისმიერი დოკუმენტაცია შეადგინონ ან/და გასცენ როგორც წერილობითი, ასევე ელექტრონული ფორმით, რომლებსაც აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა, თუკი ელექტრონული ფორმით გაცემული დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია მისი გამომცემი ორგანოს ოფიციალური ინტერნეტგვერდის მეშვეობით. ელექტრონული ფორმით გაცემული ნებისმიერი შეტყობინება ან სხვა დოკუმენტი ჩაბარებულად ჩაითვლება ადრესატის მიერ მისი ელექტრონული ფორმით გაცნობისთანავე.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან.
ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:
კანონპროექტი კონკრეტული თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არ მოახდენს გავლენას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.
ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:
კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.
ბ.დ) თვითმმართველი ერთეულის ახალი ფინანსური ვალდებულებები:
კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს თვითმმართველი ერთეულის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.
ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:
კანონპროექტის მიღება არ მოახდენს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომლებიც მოექცევიან ამ პროექტის რეგულირების სფეროში.
ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):
კანონპროექტი არ ადგენს რაიმე ახალ გადასახადს, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელს.
გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:
გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.
გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:
კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.
გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.
დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:
დ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება პროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
კანონპროექტს არ ახლავს ექსპერტის შეფასება.

დ.ბ) კანონპროექტის ავტორი:
კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის წევრი ვახტანგ ბალავაძე

დ.გ) კანონპროექტის ინიციატორი:
კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრი ვახტანგ ბალავაძე